

მცენარეთა სახელების ნასესხები ფუძეები  
ქართულ ოთხთავში

**მარინე ივანიშვილი**

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
ასოციირებული პროფესორი*

**რეზიუმე:** კულტურის ისტორიკოსები და არქეოლოგები უეჭველ ფაქტად მიიჩნევენ კავკასიასა და წინა აზიას შორის მჭიდრო კავშირს უკვე ჩვენს წელთაღრიცხვამდე VI-V ათასწლეულის პერიოდიდან, განსაკუთრებით, ამიერკავკასიის სამხრეთ რეგიონებსა და წინა აზიის ქვეყნებს შორის. როგორც ცნობილია, სწორედ სამხრეთ კავკასია წარმოადგენდა ძველი აღმოსავლეთის ცივილიზაციის მიღწევების შემომტანსა და გამავრცელებელს, კულტურტრეგერს, მთელ კავკასიაში. ამ ფონზე, ბუნებრივია, მოველოდეთ უძველესი არეალური კონტაქტების კვალს ქართველურ ენებში. ენაში შემოსული უცხოური ლექსიკური ერთეულების ბგერითი და სემანტიკური მოდიფიკაციები საინტერესო და ანგარიშგასაწევია როგორც მსესხებელი ენის, ასევე გამსესხებელი ენობრივი სისტემის შესასწავლად, ამა თუ იმ მეცნიერული ფაქტის დასაზუსტებლად. ამ მხრივ, ქართული ოთხთავი წარმოადგენს უაღრესად მნიშვნელოვან საინფორმაციო წყაროს. ჩვენი კვლევის მიზნებიდან გამომდინარე ისმის რამდენიმე ძირითადი კითხვა: როგორ ხდება მცენარეთა სახელების გადმოცემა ქართული ოთხთავის ტექსტებში – სესხებით, თარგმნით, კალკირებით, ტრანსლიტერაციით, მსგავსი სემანტიკის მქონე ეკვივალენტის ჩანაცვლებით? არის თუ არა ოთხთავში დადასტურებულ მცენარეთა სახელებს შორის საერთო-ქართველური ძირები? ნასესხებ ლექსიკასთან ერთად იხმარება თუ არა საკუთრივ ქართული (ქართველური) სინონიმური ფორმები? ნასესხები მასალა სახარების ტექსტის მეშვეობით შემოვიდა ქართულ ენობრივ სისტემაში თუ მანამდეც არსებობდა? რა

კულტურული, რელიგიური მოტივები უკავშირდება ამა თუ იმ მცენარის სახელს მოცემულ კონტექსტში? როგორია ქართული და ნასესხები ძირების დისტრიბუცია (მაგალითად, იმის მიხედვით, იზრდება თუ არა ეს მცენარე საქართველოში)? რამდენად ადეკვატურია ლექსიკური ეკვივალენტები და რით აიხსნება ცთომილებები? და ა. შ. შევეცდებით პასუხი გავცეთ აღნიშნულ კითხვებს ამჯერად ნასესხები ლექსიკის მაგალითზე.

**საკვანძო სიტყვები:** *ნასესხები ლექსიკა, მცენარეთა სახელები, ქართული ოთხთავი.*

ოთხთავის მცენარეთა სამყარო არ გამოირჩევა ფერადოვნებით (სულ 25 ფუძეა დადასტურებული), თუმცა ყოველი მცენარის სახელთან, რაც საზოგადოდ ნიშანდობლივია ბიბლიის ტექსტისათვის, უაღრესად საინტერესო, ზუსტად განსაზღვრული ფორმალურ-სემანტიკური მოდელია დაკავშირებული.

ნასესხებ მცენარეთა სახელების უმრავლესობა საქართველოსთვის არაენდემური სახეობაა: *ალო*, *ჰალო* (ებრ.), *მანანა* (ებრ.), *ნარდ-* (*ლარდ-*) (ებრაული წარმოშობის, ბერძნულის გზით შემოსული ძირი), *პიტნა* (სპარს. ბერძნ.), *ტეგან-* (ბერძნ.), *უსუჰ-* (ბერძნ.), *ქრთილ-* (ბერძნ.?), *შროშან-* (ებრ.), *ცერეცო* (ქართ.?). *ანისულ-* ბერძნ., *კამა* – ებრ.), *ძირაკ-* (სპარს.). *ქრთ-ილ-* და *ძირ-აკ-* ფუძეებს აშკარად ქართული სუფიქსური დაბოლოება აქვთ.

ასევე არაენდემური სახეობების აღმნიშვნელია კიდევ ორი, რთული, შედგენილი სახელი: *დანაკის კუდი* (ქართულ ნიადაგზე ნაწარმოები სახელი) და *ზეთისხილი*. ამ უკანასკნელის პირველი ფუძე არაბული წარმოშობისაა.

საერთოდ, სიმბოლურ-საკრალური სახის განმარტებები ახალი აღთქმის იგავური მეტყველების ქვაკუთხედს წარმოადგენს. ამ მხრივ, ოთხთავის ქართული თარგმანის რედაქციებში დადასტურებული მცენარეთა ლექსიკა განსაკუთრებულ ელფერს ჰმატებს ტექსტს.

1. „ალო“, „ჰალო“ (Aloë L.) – *ალოე* ქართული სახარების ტექსტში ორი ფორმით – *ალო*, *ჰალო* – გვხვდება: მოიღეს

აღრეული მურისა და *ალოძსად*, ი. 19, 39; მოილო მური შეზავებული *ჰალოდთურთ*, ი. 19, 39C.

ბიბლიის ენციკლოპედიის მონაცემებით, *ალოე* (ქებ. 4, 14) კარგად ცნობილი ეგზოტიკური მცენარეა ფართო და ძალიან მსხვილი ეკლებიანი ფოთლებით. მისი წვენი (ასევე *ალოე*) სამედიცინო სამკურნალო საშუალებაა, გამოიყენებოდა ბალზამირებისათვის (შდრ. ი. 19, 39), სახლებში – კეთილსურნელებისთვის.

კეთილი იმედის კონცხსა და ცეილონზე ამ ხის მრავალი სახეობაა გავრცელებული. ალოეს მძაფრი და სასიამოვნო სურნელების გამო აღმოსავლეთის ხალხები იყენებდნენ მას, როგორც ყველაზე ძვირფას საკმევებს. წმინდა წერილში ალოე სურნელებით გათანაბრებულია *მურსა* და *კასიასთან* (ფსლმ. 44, 9). ალოეს ხე აღმოსავლეთში ძალიან ძვირად ფასობდა.

ჰეროდოტეს მიხედვით, ეგვიპტეში *ალოე* გამოიყენებოდა გარდაცვლილთა ბალზამირებისათვის. ცნობილია, რომ ნიკოდემოსმა მოიტანა მურის და ალოეს ნაზავი იესო ქრისტეს დაკრძალვისათვის.

ძველი ქართული ენის სხვა ძეგლებში გვხვდება: *ჰალო*, *ალოვე*, *ალოეზ*, *ალო ფორმები*: „მოილო... მური და *ალოეზ*“ კ. იერ. 160. 2; „მური და *ალოდ* ყოველთა თანა სულნელთა (მოვისთულე)“ კ. იერ. – აღდგ. 159, 36; „მოგალა ერგასისი ლიტრად მური და *ალოეზ*“ პავლე მოც. 48, 4 [1].

სულხან-საბა ორბელიანი აღნიშნავს, რომ *ალო* სამურავია (19, 39 იოანე). ბალახი არს დიდ-ფურცელი, ასთა წელთა შემდგომად აყვავილდების და ერთსა ნაყოფსა გამოიბამს და, რა განსქდება, დიდსა ჯმასა გაიღებს, და მისგან უცხო სულნელი გამოვა, და მისის ფურცლის წვენი *საბრად* გაკეთდება და მისი ღერო სულნელი ხეა *უდის* მსგავსი.

სულხან-საბა ფუძე *საბრ*-ის შესახებ წერს: *საბრი* (ბალ.) ქართული არ არი(ს), *აზუა(ს)* ჰქვია(ნ) *Za. აზუა* (ბალ.) *საბრი* *ZABCab*. განუმარტავია, *უდი* (ხე) ხეა სუნ(ნ)ელი *ZABCb* [13].

*აზუასა* და *უდის* სხვა განმარტებები ჩვენს ხელთ არსებულ ტექსტებსა და ლექსიკონებში არსად არ გვხვდება.

როგორც ირკვევა, საბრი ქართულში არაბულიდან შემოსული სახელია. არაბ. [ṣabr] : ქართ. საბრი.

აბუ რეიჰან ბირუნის (973-1048) ცნობილ შრომაში[20] საბრი განმარტებულია, როგორც [ṣabir, sabur] aloē. აღნიშნულია, რომ aloē-ს სირიულად [ālbā] ჰქვია, სპარსულად – [albā], ინდურად – [būlū]. ინდურად მცენარე [sabur]-ს ეწოდება [subār], მალრიბის ოლქებში მას – [sabbāra]-დ მოიხსენიებენ.

ზოგი მთხრობელი (*ასმაი*) გადმოგვცემს, რომ მცენარე [ṣabir] არის ის, რასაც არაბები [makīr]-საც ეძახიან.

აბუ უბაიდას მიხედვით, [makīr] ანუ ალოედან თავდაპირველად გამოიყოფა [ṣabir], შემდეგ [ḥudād], ხოლო ბოლოს რჩება გამონაწერი, რომელსაც ასევე [makīr]-ს უწოდებენ.

*აზო, აზუა* – Aloē, Ud-ის შესატყვისად, დასტურდება ზაზა ფანასკერტელ-ციციშვილთან[24].

რაც შეეხება ბერძნულ ἄλιη-ს, ჰ. ლევის აზრით, ებრაული წარმოშობის არის, მრავლობითი რიცხვის ḥālām ან ḥālōt ფორმიდან ნაწარმოები. მეორე მხრივ, მას შესაძლოდ მიაჩნია აღდგეს ძირის ინდურის ერთ-ერთი დიალექტის ფორმაც – aghil (=skt. agarū, aguru)[23].

ქართული ოთხთავის რედაქციებში დადასტურებული *ალო, ჰალო* ბერძნულიდან (ἄλιη) მომდინარეობს (შდრ. სირიული 'alwa; სპარსული albā), რომლის პარალელურად, როგორც ჩანს, იხმარებოდა მოგვიანებით არაბულიდან შემოსული *საბრიც* [ṣabr]. ამ ორი უცხო წარმომავლობის სახელის ქართულ ვარიანტად საბა ვარაუდობს *აზუას*, მისი კვალი ახალ ქართულში, ქართველურ ენებსა და დიალექტებში არ ჩანს.

2. „მანანა“ (Erica L.) – *მანანა*, საჭმელი, რომელიც ბიბლიური გადმოცემის თანახმად (გამოსვლ. 16, 14) ეგვიპტიდან გამოსულ ებრაელებს უდაბნოში მოგზაურობის დროს, თითქოს ციდან უცვიოდათ ყოველ დილით 40 წლის განმავლობაში: მამათა თქუენტა ჭამეს *მანანა* უდაბნოსა ზედა და მოწყდეს, ი. 6, 49; მამათა მათ ჩუენტა ჭამეს მ. იგი

და უდაბნოსა მას მოწყდეს ი., 6, 31 ჩ; ვ<sup>რ</sup>-იგი ჭამეს მამათა თქუენთა მ. ი. 6, 58; მამანი ჭამდეს *მანანასა* უდაბნოსა ზედა ი. 6, 31.

ძველი ქართულის სხვა ძეგლებში: *მანანა*, „ტაკუკი ოქროდსად, სავსე *მანანადთა*“ ჰებრ. 9, 4; „უწჳმა *მანანად* , ფსლმ. 77, 24.

მ. ნედოსპასოვა ამ ფუძის შესახებ აღნიშნავს: [manna] – *მანანა*, ბიბლიის მიხედვით, ტკბილი და ნოყიერი საჭმელი, რომელიც ცვიოდა ზეციდან ისრაელთათვის მათი უდაბნოში მოგზაურობისას, წარმოადგენს ებრაულ სიტყვას. იგი აღნიშნავს იალღუნის ერთ-ერთი სახეობის ნაყოფს (*Tamarix gallicamannifera*), რომლის წებოვანი ტკბილი წვენი დამწიფებისას მიწაზე წვეთავს. ბერძნული საღვთო წერილის გავლენით, ეს სიტყვა მრავალ ენაში გავრცელდა manna – ფორმით (ებრაული გრძელი ხმოვნის ნაცვლად ბერძნულში თანხმოვანი გაორკეცდა. შდრ. myrr). ამ მხრივ, გამონაკლისს წარმოადგენს სომხური და ქართული ენები, სადაც იხმარება manana ფორმა[11, გვ. 74-75].

ბირუნის ცნობილ შრომაში mann განხილულია, როგორც ზოგადი სახელი სხვადასხვა მცენარეთგან მიღებული თხევადი ან გამაგრებული ტკბილი წვენისა, რომელიც იძენს შესაბამისი მცენარის თვისებებს (ისე როგორც თაფლი) < სემიტ. mann: „საჩუქარი“, „წყალობა“, „მადლი“[22, გვ. 10-19].

ბიბლიური *მანანა* გულისხმობს სინას ნახევარკუნძულზე არსებული იალღუნის (*Tamarix*) სახეობას.

*მანანა*, თუ მართლაც *იალღუნის* ერთ-ერთი სახეობის (*Tamarix gallica mannifera*) ნაყოფს აღნიშნავს, საინტერესოა, ვნახოთ, რა ცნობებს გვაწვდის *იალღუნის* შესახებ ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი: *იალღუნი* – არის ბუჩქი ან მომცრო ხე. აქვს ძალიან პატარა და ხშირი ფოთლები, წვრილი ყვავილები; იზრდება მდინარის პირებზე და მლაშობ ადგილებში, აშენებენ ბაღებშიც (სინონ. ქართლ-კახ. *იალღუნი*, მთ. რაჭ. *სამასრე ტირიფი*).

ა. მაყაშვილთან: *იალღუნი* (Tamarix), ქრთ. *იალღუნი*, *ჭალური*, კხ. *ილღუნი*, *ულღუნი*, ქზყ. *ოლღუნი*, ინგ. *ულღუღან*, *ყამჩიტარა*; მთ. რჭ. *სამასრე ტირიფი*.

ბ. ბარანოვის ლექსიკონში: არაბული – [tarfā'] განმარტებულია როგორც Tamarix, რაც ქართულად *იალღუნს* ნიშნავს, ხოლო *ტირიფი* (Salix) – [safṣāfa].

„*იალღუნის*“ (Tamarix) – არაბული სახელწოდება ფონეტიკურად ძლიერ ჰგავს ქართულ ტირიფს (Salix), თუმცა ამ მცენარის აღმნიშვნელი საკუთრივ ქართველური ფუძე არის \**ძიქწნ-*, რომელიც ქართულში *ძიქწნ-*, მეგრულში *ზიჭონ-* და სვანურში *გენწიშ-* შესატყვისობის საფუძველზე არის აღდგენილი.

3. „*ნარდი*“ (Nardus L.) – სახარებაში *ნარდი*-ი, *ნარდიონი*-ი (nardus, siler, oleum nardeum) – მცენარე და მისგან გამოხდილი სურნელოვანი ზეთი დასტურდება შემდეგ მაგალითებში: „მოიღო ლიტრაჲ ერთი ნელსაცხებელი *ნარდისა* (მდრ. *ლარდიონი* რჩეული C)“ DE, ი. 12, 3; „აქუნდა ალაბასტრითა ნელსაცხებელი *ნარდისა* სარწმუნოჲსაჲ“ DE, – „აქუნდა შიშითა ნელსაცხებელი *ნარდიონი* პატიოსანი“ C, მრ. 14, 3.

*ნარდი* (Nardostachys jatamansi) აღმოსავლეთში ცნობილი კეთილსურნელოვანი ძვირფასი მცენარეა (იოან. 12, 3-5). უმთავრესად შემოჰქონდათ ინდოეთიდან. პალესტინასა და მის მეზობელ ქვეყნებში ხარობს მთებსა და დაბლობებზე. მას მეწამული წითელი ყვავილები აქვს და საამო სურნელის მფრქვეველი ფოთლები. მისი ფესვებიდან ხდიდნენ ძვირად ღირებულ ზეთს, რომელიც 300 დინარზე მეტად ფასობდა (მრ. 14, 3; იოან. 12, 3), ინახავდნენ ალემბასტრის თავდახურულ ქილებში.

იოანე ბაგრატიონი *ნარდის* შესახებ აღნიშნავს, რომ „გაიზრდების ინდოეთს და აქუს სუნი საამო“ [3].

სულხან-საბას მიხედვით, *ნარდი* ყვავილია სუნნელი და მრავალფერი, რომელსა სპარსნი (სხვა რედაქციით – თურქნი) *სუმბულს* უტმობენ (14, 3 მარკ.) ZA.

სუმბული (Hyacinthus), [არაბ. „სუნბულ“], ბოლქვიანი მცენარე შროშანისებრთა ოჯახისა, იკეთებს თეთრ, ლურჯ ან ვარდისფერ სურნელოვან ყვავილებს; მოჰყავთ ქოთნებში (ქ.ე.გ.ლ).

არაბულში [sunbul] – „თავთავი“ [შდრ. ქართ. „სუმბული“], ჯ. ლოვის აზრით, მომდინარეობს არამეულიდან. „ბუნებრივია, რომ არაბებს არ ჰქონდათ თავთავის აღმნიშვნელი ტერმინი, რადგანაც არაბული ყოფისათვის მიწათმოქმედება არ იყო დამახასიათებელი, მაგრამ მისი არსებობა ყველა სემიტურ ენაში შეიძლება მეტყველებდეს მის საერთო სემიტურ წარმომავლობაზე. ვ. გეზენიუსი მას უკავშირებს ასურულ ḫubultu-ს და პარალელურად მოჰყავს ეგვიპტური ფუძე sabar(a) „ტოტი ნაყოფით“ [11, გვ. 40].

გ. წერეთლის არაბულ-ქართულ ლექსიკონში გვაქვს [sunbul], ხ. ბარანოვთან: [sunbul] 1. „თავთავი“; ე. ი. არაბ. ნ : ქართ. მ; 2. „ტიტა“.

ჰ. ლევის მონაცემებით, თეოფრასტესთან, დიოსკორიდესთან და ნიკანდერთან დადასტურებული სახელი νάρδος [nardos], მომდინარეობს ებრაული [nērd]-ისგან, ამ მცენარის სამშობლო ინდოეთია და მისი ებრაული სახელწოდება სანსკრიტულ nālada-ს უკავშირდება [23, გვ. 40].

მ. ნედოსპასოვას არაბულ ოთხთავში უცხო წარმოშობის ლექსიკის ანალიზისას აღნიშნულ ძირთან დაკავშირებით მოჰყავს საინტერესო ცნობები; კერძოდ, ივარაუდება, რომ ნარდ არაბულში სირიულიდან არის შესული და, ჯ. ლოვისა და ვ. გეზენიუსის აზრით, მომდინარეობს სანსკრიტის nālada-დან. აქვე აღნიშნულია, რომ მ. ფასმერი გ. ჰოფმანზე დაყრდნობით nard-ს განიხილავდა ფინიკიური წარმოშობის ძირად, ხოლო გ. ფრეიტაგი არაბულში [nard]-ს სპარსულ ნასესხობად თვლიდა [11, გვ. 77].

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ოთხთავის არაბული და სპარსული თარგმანების შესაბამის მუხლებში (ი. 12, 3; მრ. 14, 3), არაბულში – [nāridīn], სპარსულში კი – [sombol] (შდრ.

ქართ. სუმბული; აგრეთვე, ალბათ, სპარსულიდან ნასესხები თურქული hintsümbülü) ფუძეები გვხვდება.

ბერძნულის ეტიმოლოგიურ ლექსიკონში *várhoç* – ნარდი განმარტებულია შემდეგნაირად:

სემიტურიდან (ფინიკ.) მომდინარე ფუძეა; შდრ. ებრ. *nērd*, არამ. *nirda*, ბაბილ. *landu*. ამ ფუძის დაკავშირება ძვ.ინდ.ევროპ. *nadā*-სთან „ლერწამი“ მეტად საეჭვოა; უფრო სავარაუდოა, სემიტური ფუძეების ძვ.ინდ.ევროპ. *nálada* – „ინდური ნარდი“ ძირიდან მომდინარეობა, შდრ. ლიტ. ლათ. *nardus*, -um; ვ. ჰოფმანს *várhoç*-თან ერთად მოცემული აქვს აგრეთვე *váprr*, როგორც არომატული მცენარის აღმნიშვნელი ფუძე (Thphr. HP 9,7,3)[22].

რაც შეეხება ქართულ ოთხთავში დადასტურებულ *ნარდ*-ს, როგორც ჩანს, ის ბერძნულის გზით სახარების ტექსტების თარგმანის მეშვეობით შემოსული ფუძეა.

ამგვარად, რომ შევაჯამოთ *ნარდ*- ფუძის წარმოშობისა და ენებში გავრცელების ზემოთ განხილული მონაცემები, მივიღებთ შემდეგ სურათს:

*ნარდ*-, *ნარდიონ*- (მრ. 14, 3; ი. 12, 3; მრ. 14, 3 ჩ): ქართული ნარდი; ბერძნული *várhoç*; ლათინური *nardus* (f.); ებრაული [nērd]; სომხური *նարդ* [nard]; არაბული [nārdīn]; ინგლისური *nard*; გერმანული *Narde* (f.); ფრანგული *nard* (m.); რუსული *нард*; სპარსულსა და თურქულში წარმოდგენილია სხვა ლექსიკური ერთეული, კერძოდ, სპარსული [sombol]; თურქული *hintsümbülü*.

4. „პიტნა“ (*Mentha L.*) – სახარებაში *პიტნაკ*- (პიტნა) გვხვდება შემდეგ კონტექსტში: მოიღებთ ათეულსა *პიტნაკისა* და ცერეცოდსასა და ძირაკისასა, მ. 23, 23; მოიათევსით *პიტნაკისად*, ცერეცოდსად და ძირაკისად, იქვე C; ათეულსა აღიღებთ *პიტნაკისასა* და ტეგანისასა და ყოვლისა მხლისასა, ლ. 11, 42.

ივ. ჯავახიშვილის მიხედვით, ქართული „პიტნაკი“ ბერძნ. *ῥδάνισμον*-ს, ლათინ. *mentha*-სა, სომხ. *անանուխ* [ananuh]-ს ეთანასწორება და საქართველოში უძველესი დროიდან უნდა ყოფილიყო ცნობილი.

სამხრეთ ევროპასა და ჩვენში პიტნა ველურადაც იზრდება. ეს მცენარე პალესტინაშიც გავრცელებული მწვანელი და სანელებელი ყოფილა. პლინიუს მცირეს ცნობით, ბერძნული სახელწოდება პიტნის სასიამოვნო სუნისგან უნდა მოდიოდეს, თუმცა პარალელურად „minth“-საც ეძახიან და ჩვენმა წინაპრებმა იმათგან შეითვისეს (Natur. hist., lib. 19, cap. 47). პიტნას სხვადასხვა ავადმყოფობის დროს ხმარობდნენ, როგორც სამკურნალო საშუალებას.

ფ. გორგიჯანიძის ლექსიკონში „პიტნა“ არაბულ „ნანა“-ს და სპარსულ „ფუნა“-ს ეთანასწორება (იხ. გვ. 61). ივ. ჯავახიშვილის აზრით, „ქართული სახელი *პიტნაკი* თუმცა ნაბატეველთა და სპარსელების სახელს *ჭუდანი*-სა და *ფუნა*-ს ენათესავება, მაგრამ ქართული სახელი უფრო ძველი ჩანს, ორ უკანასკნელს ბოლო მოკვეცილი აქვს“ [18, გვ. 263-264]. ჩვენ ვიზიარებთ ზემოთ წარმოდგენილ მოსაზრებას, მაგრამ გვეჩვენება მსჯელობის ის ნაწილი, სადაც გამოთქმულია მოსაზრება ქართული „პიტნაკის“ ეგვიპტურ „ნაკ-პატასთან“ შესაძლო კავშირის შესახებ. ასევე ვფიქრობთ, მეგრულში დადასტურებული „ყვალმინთა“, ალბათ, ყველის გასურნელოვანებასთან დაკავშირებული სახელია და მისი ბერძნულ *calos* „კარგი“, ან *calamos* „ლერწამ“-თან კავშირი ნაკლებ სავარაუდოა.

მეგრულში ყვალმინთა /*ყვალმინთა*/ ცვაიმითა (აფხაზ. აყუალმინთა), კომპოზიტია, მეგრ. ყვალი|| ცვალი – „ყველი“; მინთა. სვან. მინთოორ || მინთუ – „პიტნა“, ბერძნულ-ლათინური გზით არის შემოსული. თავად ბერძნული ფუძე *mint* – სამხრეთ ევროპის ერთ-ერთ უცნობ ნასესხებ სიტყვად არის მიჩნეული [18, გვ. 264]. ეს „უცნობი ენა“ ჰ. ფრისკის ბერძნული ეტიმოლოგიური ლექსიკონის მიხედვით, პელაზგურია. ნ. ბართაიას ვარაუდით – „უცნობი ენა“ საერთო-ქართველურია, რადგან ბერძნულ „მინთასა“ და „კვალამინთას“ ეტიმოლოგია ქართველურის ნიადაგზე უკეთ იხსნება, სემანტიკურად უფრო გამჭვირვალეა და გაცილებით მეტი არგუმენტია ამ ტერმინის ქართველური წარმოშობის სასარგებლოდ [4].

რაც შეეხება ქართული პიტნ-აკ- და სპარსული fudan || fudna „პიტნა“ ფორმების ურთიერთმიმართებას, ფონეტიკური მსგავსება იმდენად აშკარაა, რომ პიტნა ქართულში, ალბათ, სპარსული ნასესხობაა (შდრ. ნ. ბართიას თვალსაზრისი: pudina > putina > pitina > pitna)[4].

სპარსული ხშული p და d თანხმოვნების ქართული პ და ტ-თი გადმოცემა ბუნებრივი ფონეტიკური პროცესია[2, გვ. 63, 191] სპარსული ხმოვნების ქართულში სხვა ტემბრის ხმოვნებით შენაცვლების მაგალითები მრავლად იძებნება.

აღსანიშნავია, რომ „პიტნა“ ფუძე ოსურშიც არის შესული „bitna“, დისიმილაციური გამჟღერების შედეგად [19; 7, გვ. 7-8]. საქმე ისაა, რომ p-ზე დაწყებული სიტყვები ირანულ ენებში და მათ შორის ოსურშიც ან ნასესხებია სხვა ენებიდან, ან ხმაბადვითი და ინტენსივობის გამომხატველი. ოსურში ამ თანხმოვანზე დაწყებული სიტყვები საერთოდ ძალიან მცირეა და ამიტომ არ არის მოულოდნელი, რომ ამ ბგერებით დაწყებული, ან თუნდაც ამ ბგერათა შემცველი სიტყვები, ქართულში ოსურიდან ნასესხებ სიტყვებში, თითქმის არ გვხვდება.

5. „ტეგანი“ (*Ruta graveolens* L.) – მცენარე ტეგან- [πίτυον, pyta] დასტურდება ლუკას სახარებაში: ათეულსა აღიღებთ პიტნაკისასა და ტეგანისასა და ყოვლისა მხლისასა, ლ. 11, 42.

სულხან-საბა ორბელიანთან: ტეგანი (11, 42 ლუკა) ტარხუნა. ბერძნულში სხვა მხალი სწერია (+და Z), ლათინურში სხვა და სომხურში სხვა ZA.

ა. მყაშვილის „ბოტანიკურ ლექსიკონში“: ტეგანი (*Ruta graveolens*) იმ. ჭინტურია; გურ. ტაგანი; აჭ. ტაგანა; ლ. კ. მარიამსაკმელა; ჩ. სადაფა.

ტეგანი – ბერძნ. πίτυον, ლათ. ruta; სომხ. [fegana]. ქართული წყაროებიდან არ ჩანს, თუ რამდენად გავრცელებული იყო ძველ საქართველოში. ვახუშტისთან არაფერია ამ მწვანილეულზე ნათქვამი, იოანე ბაგრატიონთან Pyta, *Rutha graveolens* სადაფის ბალახი, ტეგანი. ბუჩქოსანი მცენარე სამხრეთ ევროპიდან.

სულხან-საბა ორბელიანი ფიქრობდა, რომ „ტეგანი“ იგივე „ტარხუნა“ არის, სხვათა ენააო, მაგრამ კერძოდ რომელი, არ წერს. რ. ერისთავსაც *ტეგანი* || *ტარხუნა* || *ტალხუნა* სინონიმებად მიაჩნია.

ივ. ჯავახიშვილის აზრით, ქართული „ტეგანი“ დამახინჯებული ბერძნული სახელი „ჰეგანონ“-ია. იგი იმოწმებს არაბ ბოტანიკოსს იბნ ალ-ავვამს, რომელიც *ტეგანს* – *ჰიგანს*-ს უწოდებს, იბნ ბათარი კი – *საბზსაბ*-ს [18, გვ. 257-259].

დ. რეიფილდს სამკურნალო მცენარეთა ქართული სახელების არაბულ-ბერძნულ-ლათინურ შესატყვისთა ძიებისას ტეგანის პარალელურ ფორმად უსწორო კარაბადინიდან – *მარიამ საკმელა*, ანუ *სადაფა*, ზაზა ფანასკერტელ-ციციშვილის „სამკურნალო წიგნი-კარაბადინიდან“ – *სპანძლი*, *სადაფი*, იადაგარ დაუდიდან კი – *უზანლულის თესლი* აქვს დასახელებული [24].

როგორც ჩანს, XVII ს-ში „ტეგანის“ რაობა აღარ იცოდნენ, რადგან სულხან-საბა „ტარხუნას“ *тархун, этрагон, Artemisia dracunculus* ასახელებს, რომლის სამშობლოდ ციმბირი ითვლება. ლიტერატურაში აზრთა სხვადასხვაობაა იმის შესახებ, თუ როდის და საიდან არის საქართველოში ტარხუნის კულტურა და სახელი შემოსული. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ალბათ სპარსულის გზით, რადგან ამ მწვანე ილს სპარსულადაც იგივე სახელი [*tarhūn*] (Zenker-ის ლექსიკ.) ეწოდება.

*ტეგანი* (*Ruta graveolens*) (ლ. 11, 42), ბიბლიის ენციკლოპედიის ცნობით, პალესტინასა და სირიაში ფართოდ გავრცელებული მცენარეა, იყენებენ მედიცინაში.

6. **უსუბი** (*Hyssopus L.*) – სახარებაში *უსუბ*- [*ὑσσώπος*, ბალახია]: ჭურჭელი აღავსეს ძმრითა მით *უსუბსა* თანა, ი.19, 29.

ბიბლიის სხვა წიგნებში *უსუბ*-ი „ნავლეი“: „ღრუბელი აღავსეს ძმრითა მით *უსუბსა* თანა“ DE, – „მით აღავსეს ღრუბელი ერთი ძმრითა და ნავლითა“ C, ი. 19, 29. *უსუბ*-ი „საპკურებელი“, სასხურებელი; *hyssopus*; „ნავლეი“:

„რომელსა-იგი *უსუპითა* და ლერწმითა ასუეს“ კ. იერ. – ნათლისღ. 83, 5; „მოიღეთ კონაჲ *უსუპი* და დააწეთ სისხლსა მას“ ო, გამოსლ. 12, 22; „მასხურო მე *უსუპითა* და განვწმიდნე“ ე, – „მასხურე მე *საკურებელითა* შენითა და განვწმიდნე“ ტ, ფს. 50, 9; „ღრუბელი აღავსეს ძმრითა მით *უსუპსა* თანა“ DE, – „აღავსეს ღრუბელი ერთი ძმრითა და *ნავლითა*“ C, ი. 19, 29.

*ნავლე*-ი (ნავლისა) ნაველი, ზაფრა, სიმწარე, „უსუპი“: „აღავსეს ღრუბელი ერთი ძმრითა და *ნავლითა* C, – „ღრუბელი აღავსეს ძმრითა მით *უსუპსა* თანა“ DE, ი. 19, 29; „მისცეს მას სუმაღ ძმარი, *ნავლითა* შეზავებული“ მთ. 27, 34; „უმწარეს *ნავლისა* ჰპოვო“ ო, იგ. სოლ. 5, 4; „სიმწარესა *ნავლისასა* თანა შეკრულ ცოდვისა გხედავ შენ“, საქ. მოც. 8, 23; „იყავნ თქუნდა *ნავლე*“ G, რიცხ. 11, 20; „დაგიშრეტია შავი იგი *ნაველი* და სიმწარე მისი“ H – 622, 4r [1].

სულხან-საბა ორბელიანთან: *უსუპი* (ბალ.) (50, 9 ფსალმ.) *უსუპი* არს ბალახი სუნნელი და ფრიად გამრეცხელი სარცხელთა; *უსუპით* ასხურებდენ ერსა განსაწმედელად; *უსუპი* ქონდარიო ZA. ჯსსოპი.

ა. მაცაშვილის „ბოტანიკურ ლექსიკონში“: *უსუპი* (*Hyssopus* მსხ.) ზენტეხი.

ბ. ლევი, უაღრესად მნიშვნელოვან გამოკვლევაში „Die Semitische Fremdwörter im Griechischen“ [23], ἡσσοπος-ის შესახებ წერს, რომ კილიკიაში გავრცელებული ამ მცენარის სახელი უეჭველად მომდინარეობს ებრაული [‘ezōb]-ისგან. ამ აზრს იზიარებენ რენანი და მიულერიც [23, გვ. 38].

გ. ნედოსპასოვას მიხედვით, ბერძნული წარმომავლობის აღნიშნული ფუძე არაბულსაც უსესხებია არამეულიდან. არაბული [zūfa] ქართ. *უსუპი*, ბუჩქნარი არომატული ფოთლებით [11, გვ. 34].

ამ მცენარის სახელი ხშირად გვხვდება ბიბლიის ტექსტებში (გამოსლგ. 12, 22; ფსლმ. 50, 9). გამოიყენებოდა ებრაელთა განწმედის წეს-ჩვეულებებში. აღდგომის ღამით სისხლში ამოწობილი *უსუპის* კონებით ისინი ღებავდნენ

სახლების კადონებსა და კარის ამყოლებს (გამოსლვ. 22, 22; ლევ. 14, 4; ებრ. 9, 19; რიცხ. 19, 4). გავიხსენოთ როგორ ლოცულობს დავითი: „მასხურო მე უსუპითა და განვსწმიდნე“ (ფსლმ. 50, 9). *უსუპი* (*Hyssopus officinalis*) მომცრო ზომის მცენარეა (III მეფ. 4, 33). ქრისტეს წამების დროს ჯარისკაცებმა ძმრით გაჟღენთილი ღრუბელი უსუპის ღეროთი მიაწოდეს იესოს წყლის ნაცვლად დასალევად (ი. 19, 29).

როგორც ზემოთ ვნახეთ, *უსუპი* – *hyssopus*; „ძველი ქართული ენის ლექსიკონში“ განმარტებულია როგორც – „საკურებელი“, „სასხურებელი“, „ნავდელი“, ხოლო *ნავდელი* – ნაღველი, ზაფრა, სიმწარე, „უსუპი“. განმარტებათა ეს სიჭრელე გამოწვეულია აღნიშნული ძირის პოლისემანტიკის გამო, რაც როგორც ჩანს, რიტუალურ ხმარებასთან უნდა იყოს დაკავშირებული. შდრ. იოანეს სახარების DE და C რედაქციები: „ღრუბელი ადავსეს ძმრითა მით *უსუპსა* თანა“ DE, – „ადავსეს ღრუბელი ერთი ძმრითა და *ნავდლითა*“ C, ი. 19, 29. ბუნებრივად ჩნდება კითხვა ამ ძირთა ურთიერთმიმართების შესახებ. პირველმა, რაც შეიძლება გონებაში გაგიეღვოს, ფონეტიკურად მსგავსი სახელწოდების – *ნავდელა* (*Gentiana*) არის [10], მაგრამ ეს სხვა სახეობის მცენარის სახელია, უსუპი (*hyssopus*)-ისგან – განსხვავებული.

საქმე ისაა, რომ დღეს თითქმის შეუძლებელია ზუსტად განსაზღვრო საგარაუდო მცენარეებიდან, კერძოდ რომელია ბიბლიის ტექსტში დასახელებული, რადგან ლიტერატურაში აღნიშნულია 18 სხვადასხვა სახეობა (მაგ., *timjan*, *rosmarin*, *lavendel* და სხვ.), თუმცა ცნობილი ბოტანიკოსები მაინც *Hyssopus officinalis*-ისკენ იხრებიან. იოანეს სახარების C რედაქციის ქართულ თარგმანში (ი. 19, 29) *ნავდელი* ფუძის ხმარება ალბათ იმ ნაღველის, ზაფრის, სიმწარის გამოსახატავად იხმარა მთარგმნელმა, რომელიც სახარების აღნიშნულ მუხლში ამ მცენარის ხმარების ფაქტთან არის დაკავშირებული.

საყურადღებოა, მცენარე „უსუპისა“ და „ამირანის ეპოსის“ თქმულებებში დადასტურებული საკუთარი სახელის – უსუფის (|| უსიპი) ურთიერთმიმართების საკითხი. შდრ. „ბადრი, *უსუფ* და ამირან ობლები დავიზარდენით“... „ბადრი ქალსა ჰგავს ლამაზსა, საქმარედ გამზადებულსა“ (*ხალხური სიტყვიერება*, პეტრე უმიკაშვილის გამოც. ტ. I. 1964. თბ.).

7. „**ქრთილი**“ (*Hordeum L.*) – სახარებაში *ქრთილ*- [ქერი]: ადავსეს ნამუსრევითა მით ათორმეტი კუელი ხუთთა მათ ქრთილისა პურთაგან, ი. 6, 13 C; რომელსა აქუს ხუთ ჯუეზა *ქრთილის* და ორ თევზ, ი. 6, 9 C; რომელსა აქუს ხუთი პური *ქრთილისა*, ი. 6, 9; ადავსეს ათორმეტი გოდორი ნამუსრევითა ხუთთა მათგან პურთა *ქრთილისათა* ი. 6, 13.

ძველი ქართული ენის სხვა ტექსტების მიხედვით, *ქრთილი* „ქერი“: „მოიწინეს ბეთლემს დასაბამსა მკისა *ქრთილისასა*“ G, რუთ. 1, 22; „სთესის იფქლი და *ქრთილი* (*ქერი* O)“ I. ეს. 28, 25; „ყურბული *ქრთილისა*ჲ ჭამე შენ“ O, ეზეკ. 4, 12; „დაუდვა მათ კანონი, რადთა არავის მათგანსა რადმე აქუნდეს მონაგებთაგანი ვიდრე ერთ *ქრთილადმდე*“ ლიმ. 76, 4.

სულხან-საბა ორბელიანთან: *ქრთილი* (ბალ.) (9, 21 გამოსლ.) ქერთან ნახე ZAB (ბალ.) შემოდგომური ქერი CDE.

*ქერი* (ბალ.) (+28, 25 ესაია ZAA) გაზაფხულ ნათესს *ქერი* ეწოდება, ხოლო შემოდგომისას *ქრთილი* ZA ნ. მექერე.

ა. მაყაშვილის „ბოტანიკურ ლექსიკონში“: *ქერი* (*Hordeum*) სვნ. *ჭებინ*.

ივ. ჯავახიშვილის განმარტებით: „ძნელი დასაჯერებელია, რომ დათესვის დროის განსხვავებისათვის ერთი და იმავე მცენარისათვის ორი განსაკუთრებული სახელი დაერქვათ. ამიტომ საფიქრებელია, რომ *ქრთილი* და *ქერი* თავდაპირველად მაინც *hordeum*-ის ორი განსხვავებული ჯიშის სახელი უნდა ყოფილიყო. ამას ის გარემოებაც გვაფიქრებინებს, რომ *ქრთილი* შემოდგომას ითესებოდა, *ქერი* – კი გაზაფხულზე... მაშინ, როდესაც

ბერძნულს – κῆμη, და ლათინურს – hordeum ამ მცენარისათვის თითო სახელი გააჩნია“[18, გვ. 352].

ივ. ჯავახიშვილს „ქერი“ „ქრთილის“ ბოლომოკვეცილ ფორმად მიაჩნია და გამოყოფს -ლი ფორმანტს, რომლის დართვასაც უკავშირებს ფუძეში ორ თანხმოვანს შორის ხმოვნის ჩავარდნას, ამავე დროს, მიმოიხილავს ბერძნულ – „კრითე“ || „კრი“, ლათინურ – „ჰორდეუმ“, სომხურ – „გარი“, გერმანულ – „გერსტე“ ასევე სპარსულ და ოსურ – „ხორი“ ფორმებს და ასკვნის: „ჩემი მიზანი იყო მეგრძნობინებინა, ... რომ ქართულ „ქრთილ-“ „ქერსა“ და ამ მცენარის ზემოაღნიშნულ სახელებს შორის გენეტიკური კავშირი, ვგონებ, უნდა არსებობდესო“[18, გვ. 402].

ოსურ кәрдзын/кәрдзин – *პური* (ქერისა, სიმინდისა, ხორბლისა), საერთოდ – საჭმელი, кәрдзын хәрын – საჭმლის ჭამა, სპეციალისტები გამოყოფენ, ამჟამად არაპროდუქტიულ ძვინ ფორმანტს და кәр – ფორმას, რომელსაც უკავშირებენ ქართულის ქერ, სომხურის გარ, აფხაზურის akar – „ქერი“ ფუძეებს[19].

ო. თედეევას ოსური кәრ ქართულიდან ნასესხებ ფორმად მიაჩნია, ამასთან, გაფართოებული სემანტიკით: кәрдзын ნიშნავს საერთოდ „საჭმელს“; кәрдзын хәрын – „პურის ჭამას“ ანუ „პურობას“, ისევე როგორც ქართულში [7, გვ. 83].

ო. კახაძის აზრით, „ქრთილი“ კომპოზიტია, რომლის პირველი შემადგენელი ნაწილი ქერ- (→ ქრ) უნდა ყოფილიყო, ხოლო მეორე ნაწილი -თ-ილ-ი, ფონეტიკურად სახეცვლილი `დოლი~ უნდა იყოსო: \*ქერ-დოლი → \*ქერ-დული → \*ქერ-დილი → ქრთილი (რედუქციითა და დისიმილაციით ან რედუქციითა და დისტანციური ასიმილაციით); ქერდ → ქრდ → ქრთ. შდრ. კომპოზიტები: ქეჭრელი || ← ქერჭრელი; ქერშველი (← ქერ-შიშველი); ქერ-იფქლი, ქერ-დიკა, ქერ-სკილი... ამრიგად, არ არის გამორიცხული, რომ ქრთილი სწორედ ამათ მსგავსად ნაწარმოები ძველი კომპოზიტის – ქერ-დოლის, ტრანსფორმაციით მიღებული ფორმა იყოს, რომელიც

თავდაპირველად *ქერისა* და *დოლის* ანუ *იფქლის* შერეულ ნათესასა და მათ მოსავალს ეწოდებოდა (კახაძე ო. 1987: 48).

ჩვენ ამგვარი დაკავშირება სათუოდ მიგვაჩნია. ზემოთ მოყვანილი კომპოზიტების პირველი შემადგენელი ნაწილი „ქერ-“ ყველა დასახელებულ მაგალითში ხმოვნით არის წარმოდგენილი და რედუქციას არ ექვემდებარება. ეჭვს იწვევს ხმოვანთცვლილებების მოცემული ახსნაც. ვფიქრობთ, ივ. ჯავახიშვილი მართალია, როდესაც ქართულ „ქრთილ“ ფორმასა და ინდოევროპულ ძირთა გენეტურ კავშირს ვარაუდობს (იხ. ზემოთ). ქართული *ქერ-* და ბერძნული *κρη* ძირების თანხმოდანთა იდენტურობა მათ საერთო წარმომავლობაზე უნდა მიუთუთებდეს.

„ქერი“ ზანურსა და სვანურშიც დასტურდება, სვანურში მეორე ფუძეც – *ჭმინ* არის წარმოდგენილი [21; 16; 17; 6].

ქრთილი ზანურსა და სვანურში არ ჩანს, ხოლო ქერი ამ ენებში ქართულიდან შესული სახელია. აფხაზური *a-kar* ასევე ქართულიდან ნასესხები ფუძეა.

პალესტინაში ქერი ხორბლის მერე ყველაზე დიდი რაოდენობით მოჰყავდათ. მას ურევდნენ სხვა პურეულის მარცვლეულს და იყენებდნენ საკვებად, უმეტესად – ღარიბები (ეზეკ. 4, 9), აჭმევდნენ ცხენებს (IV მეფ. 4, 42; იოან. 6, 9; III მეფ. 4, 28). გედონი მტრებს ქერის პურის სახით ესიზმრებოდა (მსაჯ. 7, 13). ქერის პური იყო შესაწირი პროდუქტი (რიცხ. 5, 11). კანონით იკრძალებოდა ორი განსხვავებული ჯიშის მარცვლის ერთად დათესვა, ისევე როგორც სელისა და შალის ტანსაცმლის ერთად ტარება (ლევ. 19, 19) (БЭ, 1990; БЭС, 1985).

8. „შროშანი“ (*Lilium Candidum L.*) – სახარებაში შროშანი დასტურდება შემდეგ მაგალითებში: განიცადეთ *შროშანი*, ვითარ-იგი აღორძინდის: არცა შურების, არცა ჰსთავს, ლ. 12, 27; განიცადენით *შროშანი* ველისანი ... მ. 6, 28; ლ. 12, 27 C. მიხედვით *შროშანთა* ველისათა..., მ. 6, 28 C.

ძველ ქართულის სხვა ტექსტებში შროშანი (*lilium*): „ბირთუნი და *შროშანი* (სასანთლისანი) მისგანვე იყვნენ“ ო, გამოსლ. 25, 31; „ყუაოდენ ვითარცა *შროშანი*“ ეს. 35, 1;

„სოლომონმანცა... ვერ შეუძლო შემოსად სამოსელი, ვითარცა ერთი შროშანთაგანი“ მ. სწ. 190, 32.

სულხან-საბა ორბელიანთან: შროშანა (ბალ.) ზამბახი ძაბჩ. (ბალ.) DE. ნ. ზამბახი. შროშანი (ფრინ.) ZABCDE.

შროშანი (12, 27 ლუკა) კრინი (+ზამბახი A). ესე არს ყვავილი მრავალფერი და სუნნელი ZA. (ბალ.) (12, 27 ლუკა) კრინი. შროშანი არს მრავალფერი სუნელი ყვავილი, რომელ არს ზამბახი B. შროშანი არს მრავალფერი სუ(ლ)ნელი ყვავილნი, გინა ზამბახი სუ(ლ)ნელი C. (ბალ.) შროშანი არს მრავალნი სოსანსაც უწოდიან D. (ბალ.) E.

ა. მაყაშვილის „ბოტანიკურ ლექსიკონში“: შროშანი (*Lilium candidum*) ერ. თეთრი ზამბახი; სბ. ზამბახი.

მთის შროშანი (*Lilium szovistsianum* F. et Lall.) ქრთ. ვირისკვერცხა, ვირისყვერა, ქზყ. თარიში; ფშ. კიტრა; მხვ. ჩუკოკიტრა; მთ. კიტრანა; თშ. დათვისკიტრა; ხვს. ბარის კიტრა; რჭ., ლჩხ. თიორში; ზმ. იმ. თიოშა, ქიორშა; აჭ. შროშანი, ჩირიში; სვწ. ლახვამ კენტერ. ყვითელი შროშანი (*Hemerocallis fulva*) კბ. რუსული ზამბახი; სბ. ღამის ია; მგრ. ჭაკვარტანა.

იოანე ბაგრატიონთან: *Лилия Lilium candidum* თეთრი ზამბახი, შროშანი, აღზამბახი, ზამბახი, სიფიდ.

მ. ნედოსპასოვა იზიარებს ცნობილ სემიტოლოგთა და ირანისტთა მოსაზრებას სპარსული [sūsan] – სოსანი, ლილია (შდრ. ქართ. სოსანი, შროშანი) ფუძის ებრაული წარმოშობის შესახებ. როგორც ირკვევა, ეს ებრაული სიტყვა შესულია არაბულში არამეულიდან (შდრ. ბერძნ. κρίνον სომხ. šušān).

ტ. ერმანის და მ. ელენბოგენის ვარაუდით, იგი უკავშირდება ძვ. ეგვიპტურ s (š) šn (seschni)-ს [11, გვ. 40].

ჰ. ლევი ბერძნულ κρίνον-ს ებრაულ [šūšān] – „ლილია“-ს უკავშირებს [23, გვ. 49].

რაც შეეხება შროშანის არაბულ სახელს [zanbaqa], შდრ. საბასთან: „ზამბახი“ სხვათა ენაა, „შროშანი“ ჰქვია, ზამბახი [Iris] ბალახოვანი, მეტწილად ფესურიანი მცენარეა ზამბახისებრთა ოჯახისა და სპარსული [zanbah]-იდან (შდრ.

ქართ. ზამბახი) უნდა მომდინარეობდეს. არაბ. [zanbaq] < სპარს. [zanbah] [11].

პალესტინის ველების მშვენება *შროშანი* (*Lilium candidum*), ებრაულად *šōšāna*, ზარის ფორმის ულამაზესი სპეტაკი თეთრი ფერის, სასიამოვნო სურნელების ყვავილია, რომელსაც ქებას ასხამს თვითონ უფალი: „და სამოსლისათვის რაჭსა ჰზრუნავთ? განიცადენით *შროშანი* ველისანი, ვითარ-იგი აღორძნდის! არა შურებინ, არცა სთავნ. ხოლო გეტყვ თქუნენ, რამეთუ არცადა სოლომონ ყოველსა მას დიდებასა მისსა შეიმოსა, ვითარცა ერთი ამათგანი,“ მ. 28, 29.

შროშანი სიმბოლოა ნეფე-პატარძლის ურთიერთსიყვარულისა, ისრაელის აყვავებული მომავლისა (ფსლმ. 2: 1, 2, 16; 4: 5; 6, 2; 7, 3; ოსია. 14, 6).

შროშანს ხშირად გამოსახავდნენ ორნამენტად ტაძრის კედლებზე, დავითის დროს ებრაელები მუსიკალურ საკრავებს აწყობდნენ შროშანის ფორმის მიხედვით და უწოდებდნენ *šoman* (ფსლმ. 44, 59).

9. „**ცერეცო**“ (*Anethum graveolens* L.) – სახარებაში *ცერეცო* [კამა ანის] მათეს სახარებაში გვხვდება: რ~ მოიათევსით პიტნაკისაჲ, ცერეცოჲსაჲ და ძირაკისაჲ, მ. 23, 23 C; რ~ მოიღებთ ათეულსა პიტნაკისა და ცერეცოჲსასა და ძირაკისასა, იქვე DE.

ა. მაყაშვილის „ბოტანიკურ ლექსიკონში“: *კამა* (*Anethum graveolens* L.) იმ., ქზ. *ცერეცო*; გურ. *კლიავი*, *კვლიავი*; ინგ. *ტარახუტ*, *ტორახუტ*; მგრ. *ცეროცო*, *ცოროცო*, *ძერო* (შდრ. იმ. და გურ. *კამა*).

იოანე ბაგრატიონთან: *ანისი* – ბერძნულია *Pimpinella anisum*, ანისული. „ანისად იგულისხმებიან მოგრძო გურგალნი თესლნი, რომელნიცა უფრორე ორად შექყუტვით შეიზრდებიან. ფერით იქმნებიან ყომრალ, გემოდ ტკბილ და მშუშხველ მცირედ. იჭმევენ მასალად საჭმელთა შ(ინ)ა და სამკურნალო წამალთა შინაცა“.

ცერეცოს რაობაზე ცნობებს ივ. ჯავახიშვილიც გვაწვდის: ქართ. ცერეცო, მეგრ. ცეროცე || ცოროცე, ბერძნ.

ἀνεθον, ლათ. Anethum-ის შესაბამისი ეს ძველისძველი სახელი დღევანდლამდეა დაცული.

ცერეცოს (Anethum graveolens) სამშობლოდ სამხრეთ ევროპა ითვლება. კავკასიაშიც ყველგან არის გავრცელებული. რ. ერისთავს ანისული, ცერეცო და ძირა სინონიმებად მიაჩნია.

ივ. ჯავახიშვილი ერთ რიგში განიხილავს: „ცერცვ“, „ცერეცო“, „ცეროცე“, „ცოროცე“ და „როგს“ ფუძეებს, გამოჰყოფს საერთო – რცვ ძირს და „თესლის“, „მარცვლის“ აღმნიშვნელ სახელად მიაჩნია. მიუხედავად გარკვეული ლოგიკისა, ამგვარი დაკავშირება სათუოდ მიგვაჩნია [18, გვ. 72-75].

დასავლეთ საქართველოში ცერეცო ფუძეა გავრცელებული, აღმოსავლეთ საქართველოში – ანისული, კამა; მაგრამ ეს ფუძეები ერთი და იმავე მცენარის სახელები არ არიან. ანისული ბერძნულიდან უნდა მომდინარეობდეს. ცერეცოს ებრაული სახელია kamon (შდრ. ქართ. კამა).

ცერეცოს (კამის) თესლს იყენებდნენ საკმაზად, ასევე წამლების დასამზადებლად. ეს მცენარე პალესტინაში, ეგვიპტესა და მცირე აზიაში ველურადაც იზრდებოდა.

10. „ძირაკი“ (Cuminum cyminum L.) – სახარებაში ძირაკი [ბოტ. კვლიავი, тмин] პიტნასა და ცერეცოსთან ერთად არის წარმოდგენილი: რ~ მოიათევსით პიტნაკისაჲ, ცერეცოჲსაჲ და ძირაკისაჲ მ. 23, 23 C; რ~ მოიღებთ ათეულსა პიტნაკისა და ცერეცოჲსა და ძირაკისაჲსა, იქვე DE.

სხვა ძეგლებში ძირაკი cimum, cuminum: „სთესის გულის-სარეველი და ძირაკი“ I, ეს. 28, 25.

სულხან-საბა ორბელიანთან: ძირაკი (ბალ.) (+23, 23 მათე ZAB) ზირა ZABCD.

ა. მაყაშვილის „ბოტანიკურ ლექსიკონში“: ნამდვილი ზირა, ზირაკი (Cuminum cyminum)[10].

ივ. ჯავახიშვილი უკვე უძველეს ქართულ ნათარგმნ ძეგლებში მოხსენიებულ ამ მცენარისა და სანელების სახელებს: ძირაკი, ძირა ანუ ზირა-ს ბერძნულ κύμινον-ს, ლათინურ cuminum-სა და სომხურ չամսն-ს უკავშირებს.

ძველად ეგვიპტური ძირაკი ყოფილა განთქმული, რომელიც იქ თავდაპირველი სამშობლოდან, თურქისტანიდან ასურეთის გზით უნდა შეეტანათ. ძირა, ძირაკი საქართველოშიც გავრცელებულია. ასირელები ზირას „კამუნუ“-ს უწოდებენ, ებრაელები – „კამმონ“-ს, მკვლევართა ერთი ნაწილი ფიქრობს, რომ ბერძნული „კვმინონ“ სემიტური წარმომავლობისა უნდა იყოს [18, გვ. 240-242].

მ. ნედოსპასოვა [kimm] – „ძირაკი“ ფუძის განხილვისას იმოწმებს ცნობილ სემიტოლოგებს, რომელთა აზრით, აღნიშნული ფუძე მომდინარეობს არამეულიდან. აქად. kamūnu < შუმ. gamun. სემიტურიდან ეს ფუძე შესულია ბერძნულსა და ლათინურში, აქედან – სხვა ენებში (შდრ. ქართ. *კამა*).

ამ სიტყვის წარმომავლობის შესახებ არსებობს განსხვავებული თვალსაზრისიც, რომლის მიხედვით არაბული ფუძე მომდინარეობს ბერძნულიდან [kammunun] [11, გვ. 65].

საანალიზო მასალის მიხედვით, ქართული „ძირა“ სპარსულიდან უნდა იყოს ნასესხები: [zīre] „ძირა“, „კვლიავი“. შდრ. სპარს. [zīr] „ქვედა ნაწილი“, „ძირი“.

ძირა || ზირა-ს ფართოდ ხმარობდნენ როგორც საკმაზს, აგრეთვე წამლების დამზადების დროს.

#### **ბიბლიოგრაფია:**

1. აბულაძე, ი., *ძველი ქართული ენის ლექსიკონი*, „მეცნიერება“, თბ. 1973.
2. ანდრონიკაშვილი, მ., *ნარკვევები ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობიდან*, I, „თსუ“, თბ. 1966.
3. ბაგრატიონი, ი., *საბუნებისმეტყველო განმარტებითი ლექსიკონი*, „მეცნიერება“, თბ. 1986.
4. ბართაია, ნ., *ერთი მცენარის აღმნიშვნელ ტერმინთა ირგვლივ (პიტნა, პიტნაკ, ყვალმინთა, მინთოორ // მინთუ)*, ქუთაისის ა. წერეთლის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტის დიალექტოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი,

- ქართველური მემკვიდრეობა, ეძღვნება ვ. თოფურის დაბადებიდან 100 წლისთავს, „ქპუ“, ქუთ. 2002.
5. დანელია, კ., *ნარკვევები ქართული სამწერლობო ენის ისტორიიდან*, „თსუ“, თბ. 1998.
  6. დონდუა, კ., *სვანურ-ქართულ-რუსული ლექსიკონი*, „სპუ“, თბ. 2001.
  7. თედევი, ო., *მემცენარეობის ქართული ლექსიკა ოსურში*, „მეცნიერება“ თბ. 1975.
  8. იმნაიშვილი, ივ., *ქართული ოთხთავის სიმფონია-ლექსიკონი*, „თსუ“, თბ. 1986.
  9. კოტეტიშვილი, ლ., *მედიცინა ძველ საქართველოში*, „წიგნი სააქიმოდ“, თბ. 1938.
  10. მაყაშვილი, ა., *ბოტანიკური ლექსიკონი*, „საბჭოთა საქართველო“, თბ. 1961.
  11. ნედოსპასოვა, მ., *უცხო წარმოშობის ლექსიკა არაბულ ოთხთავში*, „მეცნიერება“, თბ. 1978.
  12. სარჯველაძე, ზ., *ძველი ქართული ენა (ტექსტებითა და ლექსიკონითურთ)*, „სპუ“, თბ. 1997.
  13. სულხან-საბა ორბელიანი, *ლექსიკონი ქართული*, „მერანი“, თბ. 1991.
  14. ლლონტი, ალ., *ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა*, „განათლება“, თბ. 1984.
  15. შანიძე, აკ., *ქართული ოთხთავის ორი ძველი რედაქცია, სამი შატბერდული ხელნაწერის მიხედვით*, გამოსცა აკ. შანიძემ, „საქ. სსრ მეცნ. აკად. გამომცემლობა“, თბ. 1945.
  16. ჩიქობავა, არნ., *ჭანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი*, „საქ. სსრ მეცნ. აკად. გამომცემლობა, ტფ. 1938.
  17. ჭარაია, პ., *მეგრულ-ქართული ლექსიკონი*, „სპუ“, თბ. 1997.
  18. ჯავახიშვილი, ივ., *საქართველოს ეკონომიური ისტორია*, „თხზულებანი თორმეტ ტომად“, ტ. V, საქ. მეცნ. აკად., „თსუ“, თბ. 1992.
  19. *ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა*, ტ. X, საქ. მეცნ. აკად., „თსუ“, თბ. 1992.

20. Абаев, В.И., *Историко-этимологический словарь осетинского языка*: т. II, „Наука“, Лен. 1973.
21. Бируни, Абу Рейхан, *Избранные произведения*, тт. 1-3, Ташк. 1957-1966.
22. Марр, Н.Я., *Грамматика Чанского (лазского) языка, с хрестоматией и словарем*. С.-Петер. 1910.
23. Frisk, H., *Griechisches etymologisches Wörterbuch*, Heidel. 1963.
24. Lewy, H., *Die semitischen Lehnwörter im Griechischen*, R. Gärtner, Berl. 1895.
25. Rayfield, D., *Georgian Pharmacopeia: correspondences with Avicenna and Galen*, Mun. 2001.